



27 ივლისი, 2009 წ.

პრეს რელიზი

დღეს, 2009 წლის 27 ივლისს, მოლდავეთის რესპუბლიკის აეროპორტში დააკავეს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 11 კაციანი სადამკვირვებლო მისია. მოლდავეთში დამკვირვებლები გაემგზავრნენ 29 ივლისის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) მისიის ფარგლებში.

ENEMO-ს გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით (რომელიც ასევე არის „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი და მოლდავეთში იმყოფება 17 ივლისიდან), რესპუბლიკაში არ შეუშვეს მხოლოდ საქართველოდან მივლენილი დამკვირვებლები, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს მოლდავეთის საზღვრის გადაკვეთისას პრობლემები არ შექმნიათ. მოლდავეთის მხარე დაკავების ოფიციალურ მიზეზად დამკვირვებლების მხრიდან მოლდავეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის აკრედიტაციის არქონას ასახელებს. „სამართლიანი არჩევნები“ აცხადებს, რომ კანონმდებლობის თანახმად, ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისთვის საქართველოს მოქალაქეს არ სჭირდება მოლდავეთის ცესკო-ს აკრედიტაცია.

ENEMO-ს მისიის ინფორმაციით დაკავებულები სრულ იზოლაციაში იმყოფებიან. მათთან არ შეუშვეს არც ENEMO-ს მისიის გრძელვადიანი დამკვირვებელი და არც იურისტი.

ამჟამად ადგილზე იმყოფება საქართველოს კონსული მოლდავეთში, რომელიც ცდილობს სიტუაციის გარკვევას. ENEMO-ს მისია მოლდავეთში დაუკავშირდა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს (ეუთო/ოდირი, ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვადასხვა ქვეყნების საელჩოები), რომლებიც ასევე ჩაერთვნენ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

„სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალური ოფისი დაუკავშირდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაერთო პრობლემის გარკვევასა და მოგვარებაში.

„სამართლიანი არჩევნები“ გამოხატავს შეშფოთებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და სთხოვს პასუხისმგებელ ორგანოებს მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ ორგანიზაციის წარმომადგენლები. „სამართლიანი არჩევნები“ დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც გვერდით დაუდგა ორგანიზაციას და აქტიურად ჩაერთო საკითხის მოგვარებაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნინო დოლიძე

ტელ: 893 998 968

ელ-ფოსტა: pr@isfed.ge

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge